2-18518/19
22-10-2019

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით, დადგენილი განხილვის ვადის გაგრძელებას შემდეგ საკანონმდებლო ინიციატივებზე:

– სავალდებულო დასკვნის წარმომდგენი კომიტეტის მომართვის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების: მერაბ ქვარაიას, პაატა მხეიძის, გოგა გულორდავას, კობა ლურსმანაშვილის, ზაქარია ქუცნაშვილის, რატი იონათამიშვილის, გიორგი მოსიძის, გიორგი კოპაძის, დიმიტრი მხეიძის და ცოტნე ზურაბიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონების პროექტებზე: „სოციალური მეწარმეობის შესახებ“, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/236; 01.11.2018) განხილვის ვადის 1 თვით გაგრძელებას.
– სავალდებულო დასკვნის წარმომდგენი კომიტეტის მომართვის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტზე „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/395; 23.09.2019) განხილვის ვადის 3 კვირით გაგრძელებას.

დანართი: 2 ფურცელი.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
რომან კაკულია

2-18431/19
18-10-2019

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა
და ეკონომიკური პოლიტიკის
კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ რომან კაკულიას

ბატონო რომან,

საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს დავალებული სავალდებულო წესით განიხილოს საქართველოს პარლამენტის წევრების: მერაბ ქვარაიას, პაატა მხეიძის, გოგა გულორდავას, კობა ლურსმანაშვილის, ზაქარია ქუცნაშვილის, რატი იონათამიშვილის, გიორგი მოსიძის, გიორგი კოპაძის, დიმიტრი მხეიძის და ცოტნე ზურაბიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტები: „სოციალური მეწარმეობის შესახებ“, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/236; 01.11.2018)

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა ბიუროს მიერ დადგენილ ვადაში ვერ ხერხდება.

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად უზრუნველყოთ განხილვის ვადის გაგრძელება 1 თვით.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ირაკლი კოვზანაძე

2-18380/19
18-10-2019

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და
ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ რომან კაკულიას

ბატონო რომან,

გთხოვთ, მიმართოთ პარლამენტის ბიუროს საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07-2/395; 23.09.2019) განხილვის ვადა გაგრძელდეს 3 კვირით იმის გათვალისწინებით, რომ კანონპროექტი საჭიროებს დამატებით კონსულტაციებს.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
კახაბერ კუჭავა